

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

წლიური ანგარიში 2010

დროის პერიოდი: აპრილი 2010 - დეკემბერი 2010

ფინანსური სისტემები

შემუშავდა ელექტრონული ხაზინის საინფორმაციო სისტემა eTreasury. 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ელექტრონული ხაზინის სისტემაში ჩართულია პრაქტიკულად ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია.

2010 წლის აპრილში დაწყებული იქნა მუშაობა სახელმწიფო ბიუჯეტის მართვის საინფორმაციო სისტემაზე. დასრულებულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის მოდული. ამ პროგრამის საშუალებით გენერირებულ იქნა 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. დაგეგმილია სისტემაში სახელმწიფო ბიუჯეტის მართვის მოდულის დამატება.

ელექტრონული სისტემები და პორტალები

შეიქმნა და დაინერგა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ახალი სისტემა eDocument. მარტივი და ეფექტური საოფისე პროგრამა, რომელსაც შიდაორგანიზაციული და ორგანიზაციათშორისი გამოყენება აქვს და სამსახურებრივი ინფორმაციის ქაღალდის გარეშე მიმოცვლას უზრუნველყოფს.

ელექტრონული მომსახურების სფეროში დაინერგა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების ელექტრონული აუქციონი eAuction. სისტემა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს ონლაინ-აუქციონში მონაწილეობის საშუალებას ოფისიდან ან სახლიდან გაუსვლელად პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით.

შემუშავდა საჯარო მოხელეების ქონების წლიური დეკლარაციის ელექტრონულ ფორმატში წარდგენის სისტემა.

შემუშავდა წარმოშობის ნებართვის სერტიფიკატის ელექტრონული მოთხოვნა. განვითარდა გადამხდელთა პორტალი - ყველა ტიპის დეკლარაცია ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფორმატში. დაინერგა ბიუჯეტში ინტერნეტ-გადარიცხვების გამარტივებული სისტემა.

დაინერგა ინფორმაციის გაცვლის შემდეგი სერვისები: საგადასახადო რეგისტრაცია, დავალიანება, გირავნობა/იპოთეკით ქონების დატვირთვა, ქონების დაყადაღების შესახებ

ინფორმაციის მიწოდება, გადახდების საძიებო სისტემა, საგადასახადო დავალიანების იდენტიფიცირება საბაჟო გამშვებ პუნქტებზე და სხვა.

2010 წელს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის თანამონაწილეობით დამზადდა ფინანსთა სამინისტროს შემადგენელი ორგანიზაციების ვებ-გვერდები. ვებ-გვერდების ჰოსტინგსა და ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს სამსახური.

ინფრასტრუქტურა და ცხელი ხაზი

სერვისების დაფარვის და რაოდენობის გაზრდის, შესაბამისად, მომხმარებელთა რიცხვის მკვეთრი ზრდის საპასუხოდ განხორციელდა პროექტები ფინანსთა სამინისტროს და მასში შემავალი სტრუქტურების საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების სიმძლავრის ამაღლების, მდგრადობისა და ხელმისაწვდომობის სრულყოფის კუთხით.

საშუალო სიმძლავრის სერვერული და მონაცემთა შენახვის სისტემები შეიცვალა ბიზნეს-კრიტიკული, მაღალი წარმადობის სისტემებით.

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის პროდუქტებით სარგებლობს 700-ზე მეტი საბიუჯეტო და 16 არასაბიუჯეტო ორგანიზაცია; 7 ორგანიზაციაში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eDocument) სისტემა დანერგვის სტადიაშია.

ახალი პროდუქტების დანერგვის პარალელურად ხდება პროდუქტების მომსახურების სისტემების სრულყოფა. სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფმა 2010 წლის აპრილიდან 2010 წლის დეკემბრის ბოლომდე ცხელი ხაზით შემოსული 50 000-ზე მეტი მეტი ტექნიკური პრობლემა გადაჭრა.